როჯერ ზელაზნი

ამბერის ცხრა პრინცი

ამბერის ქრონიკები

წიგნი 1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2010

"Nine Princes of Amber" Roger Zelazny
„ამბერის ცხრა პრინცი" როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე
რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე
დაკაბადონება: სოფიო კევლიშვილი, ქეთევან ღონღაძე
გარეკანი: თამარ მეტრეველი, თამარ ბასილია

Copyright © 1870 by Roger Zelazny, renewed 1998 by Amber Ltd.Co
Published by agreement with the author and the author's agents,
Ralph M.Vicinanza, Ltd.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2010 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-023-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

როჯერ ჯოზეფ ზელაზნი ფენტეზისა და ფანტასტიკის ჟანრში შექმნილი მრავალრიცხოვანი მოთხრობისა და რომანის ავტორია. სამჯერ დაჯილდოვდა „ნებიულას“ პრემიით (14 ნომინაციიდან) და ექვსჯერ — „ჰიუგოს“ პრემიით (ასევე 14 ნომინაციიდან).

მის ნაწარმოებებში ხშირად აღწერილია ჩვენთვის თითქოს ცნობილი სამყარო, ოღონდ მაგიის ელემენტებითა და ზებუნებრივი არსებებით. ზელაზნის გმირებს შორის ბევრია მითოლოგიური პერსონაჟი ნორვეგიული, იაპონური, ირლანდიური და სხვა ხალხების მითოლოგიიდან, ისევე, როგორც რეალური ისტორიული პიროვნებები.

„ამბერის ცხრა პრინცი“ პირველია „ამბერის ქრონიკების“ სერიის ათი რომანიდან. ქართველ მკითხველს აუცილებლად მოეწონება რომანის თავბრუდამხვევ მოვლენებში ჩართვა, მით უმეტეს, რომ ეს მწერლის პირველი წიგნია ქართულ ენაზე.

თავი პირველი

თითქოსდა მარადიული წყვდიადის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინა.

ფეხის თითების ამოძრავება ვცადე და შევძელი კიდეც. საავადმყოფოში საწოლზე გულაღმა ვიწექი და ორივე ფეხი თაბაშირში მქონდა ჩასმული, მაგრამ ამას აღარ ვდარდობდი.

თვალები სამჯერ მაგრად დავხუჭე და სივრცემ თანდათან ოთახის ფორმა მიიღო.

ვერაფრით მივმხვდარიყავი, სად ჯანდაბაში ვიმყოფებოდი.

მალე ჩემმა დაბინდულმა გონებამ ნელ-ნელა გამოცოცხლება დაიწყო და ცხადად აღიდგინა ზოგიერთი რამ. უთენარი ღამეები, სანიტრები და ნემსები გამახსენდა. როგორც კი გონზე მოსვლას ვიწყებდი, მოდიოდნენ და რაღაც წამალს მიკეთებდნენ. ჰო, ყველაფერი სწორედ ასე იყო. მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობდი — ყოველ შემთხვევაში, წინანდელთან შედარებით. ახლა კი მოუწევთ ამ მკურნალობის შეწყვეტა.

შეწყვეტენ კი?

ვინ იცის, იქნებ არც შეწყვიტონ — უეცარმა შიშმა ამიტანა.

ამ ადამიანთა ზრახვების სიწმინდემ დამაეჭვა. გავაცნობიერე, რომ ნარკოტიკებით ვიყავი გაჟღენთილი. ჩემი აზრით, ამის აუცილებლობა არ არსებობდა, და თუ დაიწყეს, ვითომ ახლა რატომ უნდა შეეწყვიტათ? მით უმეტეს, თუ ამ საქმეში ფულიც ჰქონდათ

აღებული. ამიტომაც მირჩია შინაგანმა ხმამ — ჩემი სულის ყველაზე ავმა და ყველაზე უფრო ბრძენმა ნაწილმა, — ცივი გონებით მემოქმედა და თავი ისე დამეჭირა, თითქოს კვლავაც გაბრუებული ვიყავი.

ასეც მოვიქეცი.

დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ოთახში მედდამ შემოიხედა. რა თქმა უნდა, თავი მოვიმძინარე. კარი ჩუმად მიიხურა.

ამ დროის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ აღვიდგინე, თავს რაც გადამხდა.

ბუნდოვნად გამახსენდა, რომ რაღაც უბედურება შემემთხვა. ამას რა მოჰყვა, ცუდად მახსოვდა, მაგრამ მანამდე რა იყო, წარმოდგენა საერთოდ არ მქონდა. ის კი კარგად ვიცოდი, რომ თავიდან ჩვეულებრივ საავადმყოფოში მოვხვდი და აქ მხოლოდ მოგვიანებით გადმომიყვანეს. თუმცა, აქ რატომ გამამწესეს, ვერ ვხვდებოდი.

ვგრძნობდი, ფეხები საღი მქონდა, ყოველ შემთხვევაში, სიარული შემეძლო. არ ვიცოდი, რა დრო გავიდა ტრამვის მიღების შემდეგ. ორი მოტეხილობა რომ მქონდა, ის კი კარგად მახსოვდა.

წამოვჯექი. თავს ძალა დავატანე, რადგან კუნთებში საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. გარეთ ბნელოდა და ფანჯრებს მიღმა რამდენიმე ვარსკვლავი ციმციმებდა. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ფეხი ძირს დავადგი.

თავბრუსხვევა ვიგრძენი, მაგრამ მალევე გადამიარა. მთელი ძალით ჩავებღაუჭე საწოლის თავს და პირველი ნაბიჯი გადავდგი.

ფეხზე დგომა შემეძლო.

ამგვარად, აქედან წასვლის ძალა შემწევდა.

ისევ საწოლთან დავბრუნდი, წამოვწექი და ფიქრი დავიწყე. ოფლმა დამასხა და კანკალი ამივარდა. პირში შაქარლამის გემო მქონდა.

...დანიაში ლპობის სუნი ტრიალებდა...

გამახსენდა, რომ საშინელ ავტოკატასტროფაში მოვ-ყევი...

შემდეგ კარი გაიღო. ოთახში შუქი შემოიჭრა და წამ-წამებს შორის წარმოქმნილი ღრიჭოდან მედდა დავი-ნახე. მუქი ფერის თმა და დიდი მკლავები ჰქონდა. ხელში შპრიცი ეჭირა.

— საღამო მშვიდობისა, — ვუთხარი და წამოვჯექი.

ქალი შეცბა:

— საღამო მშვიდობისა.

— როდის გამწერთ აქედან? — ვკითხე.

— ექიმს უნდა დავეკითხოთ.

— ჰოდა, ჰკითხეთ, — ვუთხარი მე.

— სახელო დაიკაპიწეთ, გეთაყვა.

— გმადლობთ, არ არის საჭირო.

— კი, მაგრამ ნემსი უნდა გაგიკეთოთ.

— არ მჭირდება.

— ეგ ექიმმა უკეთ იცის.

— მერე, დაუძახეთ და თვითონ მითხრას. მანამდე კი არაფრის გაკეთების უფლებას არ მოგცემთ.

— მე ზუსტი მითითებები მაქვს და აუცილებლად უნდა შევასრულო.

— ზუსტი მითითებები ადოლფ აიხმანსაც ჰქონდა და ნახეთ, რა დაემართა, — ვუთხარი და თავი ნელა გავიქნიე.

— კარგი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ აუცილებლად მოვახსენებ ამ...

— კი ბატონო, მოახსენეთ და არც იმის მოხსენება დაგავიწყდეთ, რომ დილით გაწერას ვაპირებ.

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, თქვენ ფეხზე დგომასაც ვერ შეძლებთ, შინაგან დაზიანებებზე რომ არაფერი ვთქვათ...

— ვნახოთ, — ვუთხარი მე, — ღამე მშვიდობისა.

მედდას აღარაფერი უთქვამს. შეტრიალდა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ისევ მივწექი და ფიქრი განვაგრძე. ეტყობოდა, კერძო კლინიკაში ვიწექი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემი მკურნალობისთვის ვიღაც ფულს იხდიდა. კი, მაგრამ ვინ? ვერც ერთი ნათესავი ან მეგობარი ვერ გავიხსენე. ესე იგი, აქ მტრებმა გამომამწყვდიეს?

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, აქ ვის უნდა მოვეყვანე.

ერთადერთი, რაც გამახსენდა, ის იყო, რომ ჩემი ავტომობილი კლდიდან პირდაპირ ტბაში გადაიჩეხა.

მე...

კვლავ დავძაბე გონება და ისევ ოფლმა დამასხა.

არ მახსოვდა, ვინ ვიყავი.

დროის მოკვლის მიზნით, საწოლზე წამოვჯექი და სახვევების მოხსნა დავიწყე. სახვევქვეშ ყველაფერი რიგზე იყო და რატომღაც არ მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ სწორად ვიქცეოდი. საწოლის თავიდან მოხსნილი რკინის წნელით მარჯვენა ფეხზე თაბაშირი გავტეხე. უეცრად ვიგრძენი, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მქონდა

გასაკეთებელი და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავპარულიყავი აქედან.

მარჯვენა ფეხი რამდენჯერმე მოვხარე. თითქოს არა მიშავდა რა.

შემდეგ თაბაშირისგან მარცხენა ფეხიც გავითავისუფლე, ავდექი და კედლის კარადასთან მივედი. კარადაში ტანსაცმელი არ ეკიდა.

უეცრად ნაბიჯების ხმა მომესმა. საწოლთან დავბრუნდი და ფეხები ისევ თაბაშირის ნატეხებითა და ბინტით შევიფუთე.

კარი გაიღო.

ოთახში შუქი აინთო და ჩამრთველთან თეთრხალათიანი კუნთმაგარი ახმახი დავინახე.

— ახლა შემატყობინეს, რომ მედდას არ ემორჩილებით. როგორ გავიგო თქვენი საქციელი? — მკითხა მან.

თავის მომძინარებას აზრი აღარ ჰქონდა.

— როგორც გენებოთ, ისე გაიგეთ, — ვუპასუხე. — მოხდა რამე?

თეთრხალათიანი წამით დაიბნა, შემდეგ წარბები შეჭმუხნა და მითხრა:

— ნემსის გაკეთების დროა.

— თქვენ ექიმი ხართ? — ვკითხე მე.

— არა, მაგრამ თქვენთვის წამლის გაკეთება მაქვს დავალებული.

— მე კი ინექციაზე უარს ვაცხადებ და ამის სრული იურიდიული უფლება მაქვს. ბოლოს და ბოლოს, თქვენ რა გენაღვლებათ?

— სამწუხაროდ, ამ პროცედურას ვერსად წაუხვალთ,

— მითხრა მან და ჩემკენ წამოვიდა. ხელში შპრიცი დავუნახე, რომელსაც მანამდე საგულდაგულოდ მალავდა. დარტყმა კარგად გამომივიდა — ქამრის ბალთიდან დაახლოებით მტკაველით დაბლა მოხვდა და მუხლებზე დაეცა.

— ! — დაიზმუვლა მან ცოტა ხნის შემდეგ.

— კიდევ ერთხელ მომიახლოვდებით და თქვენს თავს დააბრალეთ, — შევუღრინე მე.

— არა უშავს, თქვენნაირ პაციენტებთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება გვაქვს, — ამოილუღლუღა მან.

მივხვდი, რომ მოქმედების დრო დადგა.

— სადაა ჩემი ტანსაცმელი?

— ! — მიპასუხა.

— მაშინ თქვენი უნდა მათხოვოთ. გაიხადეთ.

მისმა ღმუილმა თავი მომაბეზრა, ამიტომაც ზეწარი გადავაფარე და თავში რკინის წნელი ისეთი ძალით ვუთავაზე, რომ გონება დაკარგა.

ორიოდ წუთში მობი დიკისა და ვანილის ნაყინივით ქათქათა თეთრი ფერის ტანსაცმლით შევიმოსე. საკმაოდ უშნოდ გამოვიყურებოდი. ჩემი ზედამხედველი კედლის კარადაში შევტენე და გისოსებიან ფანჯარაში გავიხედე. ალვის ხეების კენწეროზე ბებერი მთვარე მოკალათებულიყო და მკლავზე ახალი მთვარე ეწვინა. ბალახი ვერცხლისფრად ბზინავდა. ღამე უნიათოდ ეურჩებოდა მზის შუქს. ირგვლივ ისეთი არაფერი ჩანდა, რაც მიმახვედრებდა, სად ვიმყოფებოდი. ეტყობოდა, შენობის მესამე სართულზე ვიყავი. ქვემოთ, ხელმარცხნივ, განათებული ფანჯრის კვადრატი იმაზე მეტყველებდა, რომ პირველ სართულზე ვიღაც ფხიზლობდა.

ოთახიდან გამოვედი და დერეფანი მოვათვალიერე. მარცხენა კედელზე გისოსებიანი ფანჯარა იყო დატანებული. დერეფანს ორივე მხარეს ორ-ორი კარი ჰქონდა. როგორც ჩანს, ისინიც ჩემი პალატის მსგავს ოთახებში შედიოდა. ფანჯარასთან მივედი და გავიხედე. ახალი ვერაფერი დავინახე: აქედანაც მხოლოდ ხეები, მინდორი და სიბნელე მოჩანდა. შემოვტრიალდი და საპირისპირო მხარეს წავედი. ისევ კარი, კარი, კარი... არც ერთი მათგანის ღრიჭოდან შუქი არ აღწევდა და სიჩუმეს მხოლოდ ჩემი ვეებერთელა ფეხსაცმლის ფრატუნი არღვევდა.

ზორბა სანიტრის მაჯის საათი ხუთსა და ორმოცდაოთხ წუთს აჩვენებდა. რკინის წნელი თეთრი ხალათის ქვეშ, ქამარში მქონდა გაჩრილი და სიარულისას შემაწუხებლად მეხახუნებოდა ბარძაყზე. ჭერზე, დაახლოებით ყოველ ოც ფუტში, დღის განათების ნათურები ბჟუტავდა. ხელმარჯვნივ კიბე დავინახე და დაბლა დავუყევი. კიბეზე ხალიჩა ეფინა და ნაბიჯების ხმა არ ისმოდა. მეორე სართულიც მესამის ასლი იყო. კვლავ დაბლა დავეშვი. პირველ სართულზე მარჯვნივ გავუხვიე და განათებული ოთახის ძებნა დავიწყე. ეს ოთახი დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა. კარი დაუკაკუნებლად შევაღე. პრიალა საწერ მაგიდასთან ჭრელხალათიანი კაცი იჯდა და რაღაც წიგნს ჩაჰკირკიტებდა. მისი ოთახი საავადმყოფოს პალატას სულაც არ ჰგავდა. რომ დამინახა, თვალები გაუფართოვდა და თითქოს დაყვირებაც დააპირა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემმა პირქუშმა გამომეტყველებამ შეაჩერა. ის სწრაფად წამოდგა.

კარი მივხურე, მივუახლოვდი და მივესალმე: